საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1309

01/09/2021

ქ. თბილისი

ბოლნისის მუნიციპალიტეტში, შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ სასარგებლო წიაღისეულის (ოქრო-პოლიმეტალური მადნების) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სასარგებლო წიაღისეულის (ოქრო-პოლიმეტალური მადნების) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში, შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ სასარგებლო წიაღისეულის (ოქრო-პოლიმეტალური მადნების) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციაზე 2021 წლის 3 ივნისს გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N 2-812). გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების და შესაბამისი გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, დაგეგმილია თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საწარმოს მშენებლობა. საწარმოში დაგეგმილია ოქროს და ვერცხლის შემცველი თუთიის და ტყვიის კონდიციური კონცენტრატების წარმოება. საწარმოს წარმადობაა 547,500 ტ/წელ. საპროექტო საწარმო იმუშავებს მთელი წლის განმავლობაში, 24 საათიანი სამუშაო რეჟიმით. შესაბამის გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საწარმოს ტექნოლოგიური ციკლის თანმიმდევრული, დეტალური აღწერა.

საპროექტო საწარმოს მოწყობა დაგეგმილია სს „RMG Copper”-ის მადნის გამამდიდრებელი არსებული ფაბრიკის მიმდებარე ტერიტორიაზე. საპროექტო ტერიტორიის მიახლოებითი GPS კოორდინატებია: X-451978.73, Y-4580968.15 (ს/კ - 80.14.65.393). საპროექტო საწარმოს მიმდებარედ (ჩრდილო-აღმოსავლეთით) გათვალისწინებულია მადნის მიმღები მოედნისა და სამსხვრევი უბნის მოწყობა. საპროექტო ტერიტორიიდან (დასავლეთით) პირდაპირი მანძილი დაბა კაზრეთამდე - 275-280 მ-ს შეადგენს. უახლოეს მდინარემდე (მდ. კაზრეთულა) მანძილი – 123 მ. საპროექტო ტერიტორიიდან პირდაპირი მანძილი სს „RMG Copper”-ის მადნის გამამდიდრებელი არსებული ფაბრიკის ტერიტორიამდე - 274 მ-ს შეადგენს. საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან ჩრდილოეთით დაახლოებით 224 მ-ში მდებარეობს შპს ,,საქართველოს რკინიგზას" ტერიტორია, ხოლო მიმდებარედ საცხოვრებელი შენობა-ნაგებობები.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დეტალური პროექტის დამუშავების შემდგომ, რელიეფის თავისებურების გათვალისწინებით, საწარმოო პროცესების ეფექტური მართვისა და ტექნოლოგიური ციკლის სრულყოფის მიზნით კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება საპროექტო საწარმოში მანქანა-დანადგარების განლაგების სარკისებურად შემობრუნების შესახებ. აღნიშნულის შესაბამისად შეიცვალა საპროექტო საწარმოს, გზშ-ის ანგარიშით განსაზღვრული, გენერალური გეგმა.

ცვლილების პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ტექნოლოგიური ციკლის, წარმადობის, საქმიანობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის და ფართობის შეუცვლელად საწარმოო ციკლში ჩართული მანქანა-დანადგარების განთავსების ადგილების გადანაცვლება. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია საწარმოს განახლებული გენერალური გეგმა. სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი ცვლილებების შესაბამისად უმნიშვნელოდ (≈124 მ²) შემცირდება მადნის მიმღები მოედნის ფართობი.

საპროექტო ცვლილებით ლენტური კონვეიერი განთავსდება საქმიანობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში. ცვლილების მიუხედავად არ შეიცვლება ლენტური კონვეიერის სიგრძე (150 მ). მანქანა-დანადგარების განლაგების ადგილმდებარეობა დაგეგმილია პარამეტრების, მახასიათებლებისა და მონაცემების უცვლელად.

სკრინინგის განცხადებაში მოცემულია გენ-გეგმის ექსპლიკაცია ცხრილის სახით, სადაც მითითებულია საწარმოს შემადგენელი თითოეული კომპონენტი და ადგილმონაცვლეობას დაქვემდებარებული დანადგარების შესახებ ინფორმაცია.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია დაგეგმილი ცვლილებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ანალიზი/ზემოქმედების შეფასება. დაგეგმილი ცვლილებების განხორციელება არ არის დაკავშირებული საწარმოს მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით მოსალოდნელი ზემოქმედების ზრდასთან, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს სამშენებლო ტექნიკის, ტრანსპორტის გადაადგილებით; სამშენებლო მასალების დატვირთვა/გადმოტვირთვით; მიწის სამუშაოებით, სადემონტაჟო და მოწყობის/მონტაჟის სამუშაოებით. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშით მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხი უახლოესი დასახლებული პუნქტების მიმართ არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს.

წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები დაკავშირებული იქნება ექსპლუატაციის ეტაპზე არსებული გაფრქვევის წყაროების ადგილმდებარეობის ცვლილებასთან. სკრინინგის განცხადებაში, საწარმოს გენ-გეგმაზე, მოცემულია თითოეული გაფრქვევის წყარო და მანძილები უახლოეს მოსახლემდე. დაგეგმილი ცვლილებები დაკავშირებული არ იქნება სტაციონარული ობიექტის სიმძლავრის ან/და პროფილის შეცვლასთან, მოხმარებული საწვავის სახეობის შეცვლასთან ან რაოდენობის გაზრდასთან, გაფრქვევის ახალი წყაროების დამატებასთან. აღნიშნულის შესაბამისად ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით მოსალოდნელი ზემოქმედება, გაფრქვევის წყაროების ადგილმონაცვლეობის მიუხედავად, მნიშვნელოვნად არ იცვლება გზშ-ის ანგარიშში მოცემულ შესაბამის შეფასებასთან მიმართებაში.

საპროექტო ცვლილებები დაკავშირებული არ არის საწარმოს მოწყობის ეტაპზე მოსალოდნელი ხმაურის ზემოქმედების ზრდასთან. ცვლილებების განხორციელებისას არ იქნება გამოყენებული დამატებითი ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები.

პროექტში იგივე რჩება ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების ძირითადი წყაროები, რომლებიც წარმოდგენილია ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარებით. სკრინინგის განცხადებაში მოცემულია ხმაურის გავრცელების ძირითადი წყაროები, გენ-გეგმაზე მითითებით. ვინაიდან, დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში არ არის დაგეგმილი დამატებითი ინფრასტრუქტურის/დანადგარ-მოწყობილობების განთავსება და საპროექტო მანქანა-დანადგარების პარამეტრების, მახასიათებლებისა/მონაცემების ცვლილება ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება რჩება უცვლელი, რომლის დეტალური შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები განსაზღვრულია პროექტის გზშ-ის ანგარიშში.

ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი არ არის ახალი ტერიტორიის ათვისება, შესაბამისად მოსალოდნელი ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე რჩება უცვლელი. სკრინინგის განცხადების მიხედვით, კომპანია სამუშაოებს განახორციელებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემული ინფორმაციის შესაბამისად.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი ცვლილებები არ გამოიწვევს გარემოსდაცვითი მონიტორინგის პროგრამით გათვალისწინებული მონიტორინგს დაქვემდებარებული კომპონენტების, მონიტორინგის მეთოდების ან/და მონიტორინგის სიხშირის ცვლილებას. გათვალისწინებული ცვლილებების შესაბამისად, მონიტორინგის პროგრამაში შეიცვლება მხოლოდ მტვრის და ხმაურის ინსტრუმენტული გაზომვის მე-3 პუნქტიის პირობითი დასახელება. კერძოდ, დასახელება „მადნის შუალედური საწყობთან“ შეიცვლება შემდეგნაირად - „ქიმიური რეაგენტების საწყობის მიმდებარედ“.

სკრინინგის განცხადების შესწავლისა და მოსალოდნელი ზემოქმედების ანალიზის შედეგად, დადგინდა, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებები მნიშვნელოვნად არ ცვლის გარემოზე მოსალოდნელ ზემოქმედებას, რომელიც დეტალურად არის შეფასებული შესაბამის გზშ-ის ანგარიშში და განსაზღვრულია სათანადო შემარბილებელი ღონისძიებები. დაგეგმილი ცვლილებები არ არის მასშტაბური ხასიათის, ხოლო შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებითა და გზშ-ის ანგარიშით განსაზღვრული პირობების დაცვით უზრუნველყოფილი იქნება მოსალოდნელი ზემოქმედების სათანადო მართვა.

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამინისტრომ უზრუნველყო სკრინინგის განცხადების თავის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება, ამასთან განცხადება გადაიგზავნა ბოლნისის მუნიციპალიტეტში, საინფორმაციო დაფაზე განთავსებისათვის. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით, სამინისტროში წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე,</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტში, შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ სასარგებლო წიაღისეულის (ოქრო-პოლიმეტალური მადნების) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პირობების ცვლილება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

2. შპს „არ ემ ჯი აურამაინი” ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს 2021 წლის 3 ივნისის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-812 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილების გათვალისწინებით;
3. შპს „არ ემ ჯი აურამაინმა“ სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 1 თვის ვადაში უზრუნველყოს განახლებული ,,ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის“ სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;
4. შპს „არ ემ ჯი აურამაინისთვის” ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2021 წლის 3 ივნისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება N2-812) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „არ ემ ჯი აურამაინს“;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „არ ემ ჯი აურამაინის” მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ბოლნისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი